43

მაგალი



Прост. всех стран, соед. Бюр. Библ.-Читальня Ревкома Гр. Соц. Соврест. Совет. Респ. Грузии.

ამხ. ივლიანე ივლიანეს-ძე მარხლევსკი.

რემედას-ის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და რემედას-ის ცენტრალური კომიტეტის პირველი თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1925 წ. მარტის 22

ორგანო
რემედას-ის საქ. ცენტრ. კომიტეტის.
№ 6
ტფილისი
მაისი—1925 წელი

შინაარსი:

1. ჩვენი მორიგი ამოცანები . . . . . .
2. პრესა . . . . . .
3. კომკავშირი და რემედასი . . . . . .

ლიტერატურა.

1. დევნილები—პ. ოდ—შვილი . . . . . .
2. კაპიტალის ტყვეებს—პ. ოდიშელი . . . . . .
3. ბულგარეთის გმირებს—ე. დ—ძე . . . . . .

გურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

1. რემედას-ის ყრილობა გერმანიაში— . . . . .
2. ბულგარეთი . . . . . .
3. ამერიკა . . . . . .
4. ესპანეთი . . . . . .
5. პოლონეთი . . . . . .
6. კუნძულ იავა . . . . . .
7. ახალი გვინეია . . . . . .

რემედას-ი საქართველოში.

1. რემედას ის საქართველოს პირველი პლენუმი . .

წერილები ადგილებიდან.

1. ქუთაისის მაზრა . . . . . .
2. სამხრეთ-ოსეთი . . . . . .
3. აფხაზეთი . . . . . .

ქრონიკა

ამხ. გაავრცელეთ „რემედას"-ი თქვენ ამით ხელს შეუწყობთ რემედას-ის იდეების განმტკიცებას მშრომელთა ფართე მასსებში.

ჟურნალ რემედას-ი უნდა იკითხებოდეს ყველგან: ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა ოჯახებში, სოფლად—ქოხ-სამკითხველოებში და გლეხთა ქოხებში.

ჟურნალ რემედას-ს უნდა კითხულობდეს ყველა პატიოსანი მშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია შრომის განთავისუფლება კაპიტალის ბრჭყალებისაგან

363 (ა) (05)
ს 43.

წელიწადი მეოთხე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რევოლუცია

63.4.

ოფიციალური

რევოლუციის საქ. ცენტრალური კომიტეტის.

№ 6

ტფილისი

ჩვენი მორიგი ამოცანები

მაისის 3—5-ს დაასრულა თავისი მუშაობა რემედასის-ის საქ. ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა.

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმის საქმიანობა ერთობ ცოცხალი და ხალისიანი იყო. ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები დიდს სიმხნევეს იჩენდნენ მუშაობის დადებით და უარყოფილ მხარეების გამოაშკარავებასა და მომავალ მუშაობის გეგმის შემუშავებაში.

პლენუმზე დასახულ იქნა მთელი რიგი მორიგ ამოცანების.

ყველაზე ადრე აღსანიშნავია ჩვენი ორგანიზაციების არსებულ რიცხვზე შეჩერება დაბა-ქალაქებში. უნდა ითქვას, რომ მუშები და მოსამსახურეები საკმ:ოდ არიან ჩაბმული რემედას-ის რიგებში. ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები მოწმობს, რომ 64 ათას წევრიდან, რომელიც ირიცხება რემედას-ის ორგანიზაციებში, დაახლოებით 45 ათასი მოდის ქალაქებზე, ე. ი. მუშებზე, მოსამსახურეებზე და წითელ-არმიელებზე. აქ შეიძლება დროებით წერტილი დაისვას. ქალაქებში ორგანიზაციები საკმაოდ გამრავალრიცხოვანებულია, ქალაქის მშრომელი მასსა რემედას-ის უჯრედებში ჩაწერილია, მუშაობაში ჩათრეულია. ჩვენი ძირითადი ამოცანაა ამ შემთხვევაში ორგანიზაციების განმტკიცება, უნარიანობის აწევა, მუშაობის გაცხოველება, ერთი სიტყვით—ორგანიზაციების „გამოღვიძება".

პლენუმის გადაწყვეტილება სწორედ ამასვე გვეუბნება. ორგანიზაციული ხანა უნდა დასრულდეს, არსებული უჯრედები საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, მათში მუშაობა გაცხოველდეს—აი ჩვენი უახლოესი პრაქტიკული მიზანი.

მეორე მხრივ, საჭიროა სოფლის ორგანიზაციების განვითარება. მშრომელი გლეხობა რემედასის რიგებში ნაკლებადაა ჩაბმული. სულ რაღაც 10 ათასი გლეხი ითვლება რემედას-ის უჯრედებში სოფლად. რა თქმა უნდა, ეს სასურველი მოვლენა როდია. გლეხობაში შეჭრა, გლეხ-კაცობის პოლიტიკურად მომზადება, სოფლად პოლიტიკური განვითარების შეტანა ჩვენი ძირითადი ამოცანაა. სამწუხაროდ, ამ დარგში ბევრი რამ დღემდე არ გაკეთებულა. მუშაობაში დიდი ყურადღება გვქონდა მოქცეული ქალაქის ორგანიზაციებისათვის. სოფელი „გამოგვრჩა". ეს დიდი ნაკლია, რომელიც უეჭველად უნდა გამოსწორდეს. მშრომელი გლეხობა რემედას-ის უჯრედებში უნდა „ჩავითრიოთ", არა ძალდატანებით, არამედ სრული ნებაყოფლობით, თავისი პირადი სურვილით და გადაწყვეტილებით. ასეთია ჩვენი მეორე ამოცანა.

დღემდე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა რემედას-ის მოზარდი თაობის — რემედას-ის მეგობარი"-ს საკითხს. ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობა არ იმყოფება რემედას-ის უშუალო გავლენის ქვეშ. თავის დროზე რემ. საქ. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და გამოუშვა სათანადო წესდება ინსტრუქციები, „რემედას-ის მეგობარი"-ს ორგანიზაციულად მოწყობის გეგმა. ადგილებზე ამ მხრივ ძლიერ ცოტა გაკეთდა. აშკარაა, მომავალში ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლოს ბავშვთა მასების ჩათრევა რემედას-ში. ამით შეიძლება ამოიწუროს ჩვენი მესამე ძირითადი ამოცანა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აგიტაციისა და პროპაგანდის გაძლიერების მნიშვნელობა. სორგანიზაციო ხანაში ყოველთვის სუსტია აგიტაცია. მომავალში კი მდგომარეობა ძირ ბუდიანად უნდა შეიცვალოს. აგიტაციის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რემედას-ის უჯრედების მუშაობა მარტო საწევრო გადასახადით არ უნდა იფარგლებოდეს. უმეტეს შემთხვევაში დღემდე ასე

ხდებოდა: უჯრედებში უმეტესად ფულის საკითხი ისმებოდა, სააგიტაციო ნაწილს კი ყურადღება ნაკლებათ ექცეოდა. რასაკვირველია, ეს გარემოება ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალოა. ჩვენ უნდა შევეცადოთ მდგომარეობის გამოსწორებას. მთავარი ყურადღება აგიტაცია-პროპაგანდას უნდა მივაქციოთ და ამით რემედას ის წევრთა პოლიტიკური განვითარება საკმაოდ გავალრმავოთ.

ზეპირი აგიტაცია, ცხადია, უნაყოფო არაა. მაგრამ არანაკლებად ნაყოფიერია ბეჭდვითი აგიტაციაც. უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება პატარა წიგნაკების გამოცემას. რემედას-ის წევრს უნდა ქონდეს საშვალება რემედას-ის მიზნებსა და ამოცანების, აგრეთვე მუშათა მოძრაობის და ტყვე რევოლიუციონერების შესახებ რისიმე წაკითხვის, და არა მარტო მოსმენის. ჩვენი მეოთხე და უმთავრესი სმოცანაა ამ საკითხის მიზანშეწონილი გადაწყვეტა.

ასეთია საერთო ხასიათის ამოცანები.

ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე, რა თქმა უნდა, კიდევ მრავალი პრაქტიკული საკითხი წამოიჭრება. ნაყოფიერი მუშაობა სწორედ პრაქტიკული საქმიანობით ამოიწურება. დარწმუნებული ვართ, ადგილობრივად ამხანაგები უფრო მეტის ხალისით შეუდგებიან მუშაობას. ამით შევსძლებთ რემედას-ის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მიზნების განხორციელებას არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენს საზღვრებს გარეთაც.

პრესა

პარტია და რემედას-ი

გაზ. „კომუნისტი“-ს მე-105 ნომერში მოთავსებულია ამხ. **გ. მუშიშვილის** წერილი: „პარტია და რემედას“-ი როგორც სათაურიდანა სჩანს, წერილი ეხება მეტად საყურადღებო საკითხს—პარტიის დამოკიდებულებას ჩვენი ორგანიზაციებისადმი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ჟამად არსებობს **ათამდე** ნებაყოფლობითი ორგანიზაცია. მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ამ ორგანიზაციების ამოცანები. მაგრამ ამ

> „ორგანიზაციების რიცხვში რემედას-ი იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას... იგი არაა მარტო „საქველმოქმედო საზოგადოება“. მისი დანიშნულებაა მშრომელი ხალხის აღზრდა პოლიტიკურად“.

საბჭოთა საქართველოში

> „რემედას-ს ეკისრება განსაკუთრებული მოვალეობა. რემედას-ის პოლიტიკური სარჩული ყველაზე უფრო საქართველოში გამოიყურება“.

რაში გამოიხატება რემედას-ის „განსაკუთრებული მოვალეობა ჩვენში? ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი მუშა და გლეხი მიეწყურებულია პოლიტიკურ მუშაობას. წინეთ ისინი მუშაობდენ სხვადასხვა პარტიებში. გასაბჭოების შემდეგ „მრავალპარტიობა“ მოისპო. მენშევიკ მუშებმა თავი დაანებეს მენშევიკობას, მშრომელი ინტელიგენცია გაეჭცა ნაციონალისტურ პარტიებს. მაგრამ მათ წინაშე წამოიჭრა დიდი დაბრკოლება: კომუნისტურ პარტიაში მთლიანად შესვლა ვერ შესძლეს, ხოლო „უპარტიოდ“, ე. ი. პოლიტიკის გარეშე დარჩენა ძნელი შეიქნა. ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, იტყვიან ხოლმე. მდგომარეობიდან გამოსავალს ავტორი რემედას-ში ხედავს.

> „მუშა და გლეხი, რომელიც გულწრფელად დაინტერესებულია საერთაშორისო რევოლიუციის საქმეში თავისი წვლილი გაიღოს, საკუთარ კერას უსათუოდ რემედას-ში პოულობს... რემედას-ი პოლიტიკური სკოლაა“.

აშკარაა, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის თვალსაზრისი რემედას-ის საკითხში. „პარტიის უმაღლესი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ რემედას-ის მუშაობას საქართველოში“. მაგრამ პროვინციაში

> „პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ რემედას-ის მუშაობას... პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რემედას-ის ორგანიზაციები ყველაზე უფრო ძლიერია იქ, სადაც სჩანს პარტიული ხელმძღვანელობა. ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. **ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღეაა უნდა მიაქციონ რემედას-ის იდეურ ხელმძღვანელობას და მეტი პასუხისმგებლობით გაატარონ ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საკითხში“** (ხაზი ავტორისაა. მეპრ.).

რემედას ის ცეკას პლენუმმა სწორედ ასეთი დადგენილება გამოიტანა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიის ორგანიზაციებმა ადგილობრივად გაუწიონ დახმარება რემედას-ს, რადგან სხვა გზით ძნელი ხდება ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. ვიმედოვნებთ, პარტიული ორგანოები გაითვალისწინებენ რემედას-ის ამოცანების მნიშვნელოვანობას და გაუწევენ რემედას-ის უჯრედებს სათანადო ხელმძღვანელობას.

ვ

კომკავშირი და რემედას-ი

ათეულ ათას მუშებთან და გლეხებთან ერთად ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში მომწყვდეულია მუშათა ახალგაზრდობაც. ბურჟუაზიამ კარგად იცის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მნიშვნელობა რევოლიუციონურ მოძრაობაში.

ბურჟუაზია სდევნის დასავლეთ ევროპის კომკავშირელებს, ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს, ათავსებს მათ ციხეებში, გზავნის კატორღაში...

დასავლეთის, და საერთოდ—მთელი კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობა იმყოფება სასტიკ ტერორის ქვეშ.

ს. ს. რ. კავშირის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა კი განთავისუფლებულია თავის მტრის გავლენისა და შეკვიწროებისაგან, ის აშენებს ახალ ქვეყანას, აქტიური მონაწილეა სოციალიზმის შენობის პირველი საძირკვლების ჩაყრაში.

ჩვენმა საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდობამ მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს დასავლეთის თანამოძმე კავშირებთან და დაეხმაროს მას ბურჟუაზიის საბოლოოდ დამხობის საქმეში.

ეს მჭიდრო კავშირი ს. ს. რ. კ. ახალგაზრდობისა და დასავლეთის პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობას შორის მით უფროა საჭიროა რომ ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც მუშაობს და იზრდება „მშვიდობიან“, ალმშენებლობითი ხანაში-უნდა სწავლობდეს, გამოცდილებას უნდა ღებულობდეს ევროპის მებრძოლი ამხანაგებიდან.

ეს ძმური, მეგობრული კავშირი მით უფრო აუცილებელია, რომ დასავლეთის ახალგაზრდობა რომელსაც სულ მოკლე ხანში მოელის განთავისუფლებას, სწავლობს იმ უდიდესი გამოცდილებაზე რომელიც ს. ს. რ. ახალგაზრდობამ დააგროვა შვიდ ნახევარი წლის ბრძოლისა და მუშაობის განმავლობაში.

ახალგაზრდათა მოძრაობის სოლიდარობის მაჩვენებელია—**ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე** — სექტემბრის პირველი კვირა.

თუ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე—მსოფლიო-ახალგაზრდობის შეკავშირების დღეა—**რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია**—ეს **ის ორგანიზაციაა, რომლის საშუალებითაც ეს შეკავშირება ცხოვრებაში ხორციელდება.**

რემედას-ი კიდევ უფრო ანმტკიცებს ისედაც ძნელათ გასარღვევ კავშირს საბჭოთა რესპუბლიკებისა და დასავლეთის ახალგაზრდობას შორის.

საქართველოს ყოველი კომკავშირელი მოვალეა ძმური დახმარება გაუწიოს თავის ამხანაგებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ციხეებში იტანჯებიან. კომკავშირის არც ერთი წევრი არ უნდა დარჩეს რემედას ის რიგებს გარეშე.

ამ ჟამად საქართველოს კომკავშირი მთლიანად არაა ჩათრეული რემედას-ის წრეებში. საბჭოთა რუსეთში კი სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი. იქ ახალგაზრდა ლენინელები წარმოადგენენ რემედას-ის ნამდვილ აქტივს, ეწევიან დაუღალავ მუშაობას საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად, ფართო მასსების პოლიტიკურად გასათვითცნობიერებლად.

საბჭოთა საქართველოში ასეთ მაგალითს ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ. მართალია, კომკავშირის ზოგიერთი ორგანიზაციები საკმაოდ მუშაობენ რემედას ის გასაძლიერებლად, მაგრამ საერთოდ ასე არ ითქმის ორგანიზაციების დიდ უმრავლესობის შესახებ. ალბათ, ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ჩვენი რემედას-ი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორგანიზაციაა და მის იდეებს არაა გაცნობილი ახალგაზრდობის ფართო წრეები. უკანასკნელ ხანებში რემედას ი პოპულიარული გახდა ჩვენს მშრომელ ხალხში და ეს უსათუოდ ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის მასსიურად ჩაბმას რემედას-ის მუშაობაში.

კომკავშირის დაახლოება რემედას-თან აუცილებელი და სასარგებლოა იმ მოსაზრებითაც, რომ რემედას-ი აღზრდის ახალთაობას, გაათვითცნობიერებს მას პოლიტიკურად, გააცნობს საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობას, თეთრი ტერორის მოქმედებას, მენშევიკური პარტიების მოღალატეობრივ მოღვაწეობას და მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხებს. კომკავშირის ორგანიზაციებმა ეს უნდა მიიღონ მხედველობაში.

გ. ძ.



ლ ე ვ ნ ი ლ ე ბ ი

სურათები

ქარი ქროდა...
იცრემლებოდა შემოდგომის სუსხიანი დღეები.
სივრცეში იდგა ფოთლებ-შემოძარცული ხეები.
არე-მარე გლოვის სამოსელში გახვეულიყო.
ქარი არხევდა შიშველ ტოტებს და სისინით ხეობებში გადაჰქონდა გაყვითლებული ფოთლები.
ქროდა ქარი, ცივი ქარი...

—

დამწუხრებულ მიდამოს შემოდგომის მოღლილი ნაზე უგზავნიდა მკრთალ სხივებს.
იძირებოდა მზე ღრუბლების ჯანყის მორევში
თითქოს პირს არიდებდა მიწას... ცოდვილ მიწას, სადაც ოკეანებად იღგა უმოწყალოდ დაღვრილი ძმათა სისხლი...

—

სიჩუმე.
საძარის მსგავსი დუმილი.
სდუმდა ყოველივე.
სდუმდა მხარე.
შრომის მხარე იდგა—როგორც მუნჯი მონა წელში გაწყვეტილი.
აქ ოდესღაც გუგუნებდა შრომისა და ოფლის ჰიმნი.
ჰიმნი ტკბილი.
მეომართა მტკიცე ხმები.

—

დაღვრემილი ბუნება თანაუგრძნობდა მეტყველთა ტანჯვას...
ადამიანთა ტანჯვა-ვაებას,
რომლის ჩუმი ქვითინი იკარგებოდა სივრცეში.
სისინებდა ქარი.
იგი თითქოს დასტიროდა ღარიბ-ქოხებს.
მათ დაკარგულ იმედებს.
ირწეოდა მთელი მხარე ცრემლის ზღვაში.
მწარე ქვითინი. სევდიანი ჰანგები მოქონდა ნიავს...
ასე იყო დღე და ღამე.
ასე იყო... ასე ტანჯვით...
უიმედოდ... უნუგეშოდ...

—

ნახევრად ჩამქრალ კერიის პირად
ისხდნენ მოხუცები.
შიშველი ბავშვები.
მოხუცი ქალები.
სტიროდნენ. მოსთქვამდენ. ქვითინებდენ.
თვალწინ ედგათ ტბები უშედეგოდ დაღვრილი სისხლისა.
მწარე ცრემლებით იგონებდენ დაკარგულს შვილებს.
მამებს. ძმებსა და...
გმირებს. საყვარელ გმირებს...
საამაყო შვილებს...
ხალხის შვილებს, რომლებმაც თავი შესწირეს საკაცობრიო იდეალებს.
განთიადს.
თავისუფლებას.
ნანატრ ქვეყანას.
შრომის ქვეყანას...

—

მათ ხომ მკერდი მიუშვირეს...
გაღეღილი მკერდი—
მტრის მიერ გამოსროლილ მახვილებს...
ისინი ხომ ზვარაკად შეეწირენ თავისუფლებას?!

—

მათ ვერ დაივიწყებს ხალხი...
თაობათა წყებები, რომლებიც მოდიან ჩვენს უკან...
თაობა, რომელიც შეამსებს ახალ რიგებით შრომის შვილთა ლეგიონებს...
მათი ხსოვნა—იცოცხლებს მუდამ...

—

მოხუცებს რა დარჩათ სანუგეშოთ?
ისინი დასტირიან დაკარგულ შვილებს.
მათ ელანდებათ სისხლში ჩამქრალი სიცოცხლე უთვალავი გმირებისა...
აფეთქებული...
შურისძიების ცეცხლით ყალყზე ამდგარი ლეგიონები...
მშრომელთა ჯარების უთვალავი წყებები..
ბრძოლა თავგანწირული...
... შედეგი?!.
— საშინელი! სავალალო! ცრემლიანი!
ისევ მოთქმა! გლოვა! ქვითინი!

თითქოს საუკუნოდ ჩაესვენა განთიადის ბრწყინვალე შუქი...
თითქოს მოწყდა ცის კაბადონზე მნათობები და არყოფნის უფსკრულში გადაეშვა...
... გაჰქრა დღეები...
ტყვიამფრქვეველებმა დაფლითეს რწმენის წითელი დროშები...
მტრის ულმობელმა შემოტევამ...
ველურმა ღრიანცელმა აღგავა მიწის პირიდან რკინის რიგები, რომლებმაც დაანთეს შურისძიების ულმობელი ხანძარი...
აღგავეს ურიცხვი ლეგიონები, რომელთა ბაგეებიდან პირველად დაიჭექა თავისუფლების დიადმა ჰიმნმა...

—

არარაობის უფსკრულმა...
პირღია ნაპრალებმა შთანთქეს ფოლადის რაზმები, რომლებიც რკინის მკერდებით მიარღვევდენ უდაბნოდ ქცეულ სამყაროზე გადაჭინთულ ბურუსის კლდეებს...

—

ქაოსს შეუერთდა ყოველივე...
აღარ დარჩა იმედები..
არ სჩანდა ბრძოლის ველზე არც ერთი გმირი...
თითქოს ჩამქრალიყო ბრძოლის ცეცხლის ულკანასკნელი ნაპერწკალიც...
თითქოს მიყუჩდა ყოველივე...
დარჩა მხოლოდ მწარე მოგონება.
ცრემლი. შიში.
საშინელი სინამდვილე და...
საფლავები აქა იქ.
ძმათა საფლავები...
გაპარტახებული სოფლები...
ღარიბი ქოხები...
გაჭვარტლული ქოხები...
ბავშები... უმოწყალო..
ულუკმაპურო, ობოლი ბავშები...
ბავშები, რომელიც იზრდებოდენ სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგზე...
'შურისძიებისათვის...
მომავალი ბრძოლისათვის,
რომელიც მათთვის ჯერ ზღაპარივით უჩინარია...

—

საფლავებს...
ობოლ საფლავებს კი, დასისინებდა შემოდგომის თვალცრემლიანი ქარი...
საბრალო დედები დასტირიან ბალახ-ბულახით დაფარულ საფლავებს...
ქვეშ კი... აწყვია გმირები...
რკინის რაზმი..
რაზმი რომელიც შეეწირა ნეტარ მომავალს...
ეშრომელ მასსას...
საკაცობრიო საქმეს...

—

ქარი ქრის...
სისინებს გულსაკლავად...
საფლავებიდან მოისმის განახლებული მოწოდება, ცეცხლით აღგზნებული ძახილი:
— განაგგრძეთ ჩვენი გზა!
— დალეწეთ!
— ცეცხლი!
— ცეცხლი!
— დასწვით ცეცხლში ამყრალებული სიცოცხლე!

—

სისინებს ქარი...
ქვითინებს აოხრებული მიდამო...
სტირიან...
მოსთქვამენ ქოხები...
სტირიან დედები...
არე-მარე მწუხარეა...
დაღვრემილი...
ცრემლიანი...

—

სმენად ქცეული სოფლები კვლავ მოელიან შორეულს...
შორეულს, რომელიც მოიტანს ახალ იმედებს...
ნუგეშს...
სიხარულს...
სიცილს და ზეიმს...
კვლავ ელიან ქოხები ელვარე ცეცხლს...
ბრძოლის სტიქიონს...
უ ხ ი ლ ა ვ ი ძ ა ლ ა.
... თითქოს არ არის შიში...
კვლავ გროვდება ენერგია...
ირაზმებიან ახალი რიგები...
ქალაქი—გიჟი.

შორიდან მოსჩანს ცეცხლში გახვეული სოფლები...

ქალაქი—მოუსვენარი.
ქალაქი—ცელქი.
ზღაპრული ქარხნები—კვლავ აწვდიან ახალ იმედებს გაპარტახებულ სოფლებს...
შუალამის სიჩუმეში—ქარხნის ლოზუნგები კვლავ დაფრინავენ სოფლებში...
კვლავ ბრძოლისათვის...
ახალი ბრძოლისათვის დაფრინვენ ლოზუნგები...
— კიდევ ერთხელ!
— მძლავრად შეუტიეთ!
— არ დაზოგოთ!
— შური იძიე მონავ!..
— ძვირფასია ყოველი წამი...
— უცადეთ!..
— ელოდეთ ნიშანს!..
—

ქურდებივით დაძრწოდენ...
ხელიდან ხელზე გადადიოდენ ფურცლები...
ფარულად... უჩინარი სალტებით კრავდენ აოხრებულ სოფლებს და რაზმავდა ახალ ბრძოლებისათვის ზარდაცემულ ქვეყანას ქალაქის მოუსვენრობა...
ფანტასტიური ქალაქი ამზადებდა მეორე წარლვნას რომელსაც ქვეშ უნდა მოყოლოდა ძველი დიდება..
ძველი ქვეყანა...
ქალაქის შეურყეველი სული ხსნიდა უჩინარ უფსკრულებს...
და იწვევდა მესაფლავედ ყველა მშრომელთ...
სოფლებს...
დაბებს...
მივარდნილ მთებს...
—

გიჟი და მოუსვენარი ქალაქი თავისი მოწოდებებით იმედების ახალ ცეცხლს,—მოკიაფე და მოგიზგიზე ცეცხლს უნთებდა გულში ყველა დაჩაგრულს...
—

მუნჯი...
უენო სოფლები ჩუმი ფუსფუსით იკრებდენ ახალ ძალებს...
კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდა...
კვლავ ფეთქავდა იმედებით...
ქარი ისევ სისინებდა... მაგრამ... მაინც ინთებოდა შურისძიების ახალი ცეცხლი...
აქ ისევ უნდა დაღვრილიყო სისხლი...
მთებში...
ორწოხებში...
ხეობებში კვლავ უნდა აცეკვებულიყო სისხლის ძძიმე ტალღები, რომ საბოლოოდ გადაერეცხა სევდის საშინელი ჯანყი მიწის პირიდან...
სოფლები უცდიდენ ნიშანს...
საბედისწერო ზარის მოლოდინში იდგა სულგანაბული ქვეყანა...
ქარი ისევ სისინებდა...
შემოდგომის თვალცრემლიანი ქარი არხევდა ხის რტოებს...
უსულგულო რტოებს...
გაძარცულ რტოებს...
—

უკანასკნელი წამი.

...ღამეა...
ჩუმი ღამე...
უსიტყვო და გარინდული, ვით საფლავის ლოდი, ქვები...
არსად სიტყვა...
აღარც სუნთქვა...
სოფლებში დაძრწიან მოწოდებები...
ქურდებივით...
ჩუმად...
წყნარად...



ქარი არხევდა ხის რტოებს, რომელზედაც ეკიდა...

— როგორც ერთი კაცი!.. ღამის ორ საათზე!..
— თოფებისაკენ!..
— ნიშანი მაშხალა ცისკენ...
— არ დააყოვნოთ!..
— მხნედ!..
— მტკიცედ!..
ფურცლებმა დაირბინეს სოფლები..
—

— ჩვენთან არიან ქალაქის მრავალ-რიცხოვანი მუშები...
ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა მივიტანოთ გადამწყვეტი იერიში მტერზე...
ასე ამბობენ ორატორები ძველი ქვეყნის დალუპვის ამბავს—ჩუმად...
ფუსფუსით...
—

ჯაშუშები.

ქალაქის ჯაშუებს არ ეძინათ.
ღამის ჯალათებს არ ჰქონდათ მოსვენება...
გაიგეს...
ხელში იგდეს გეგმა...

ქალაქს ალყა შემოარტყეს...
შეკრეს...
ღამის სიჩუმეში გასწმინდეს ქალაქი მებრძოლებისაგან.
ქალაქი ისევ დამუნჯდა ..
გასცეს მებრძოლნი...
მათ ეხლა აკავებს რკინის კედელი ..
კარზე მოსყიდული დარაჯები სდგანან ხიშტებით..

—

სოფლები?..
ისინი ელიან ნიშანს...
უცდიან აფეთქების წამს. .
უკვე ორი სრულდება...
ჯაშუშებმა დაჭერილი გეგმის თანახმად აუშვეს მაშ-ხალა...
ცაში ელვარებდა ნიშანი შურის ძიების, მაგრამ არა ტანჯულთა სალხინოდ...

—

ა ფ ე თ ქ ე ბ ა.

სოფელი, როგორც ერთი კაცი მოიწევს წინ შეხვდეს მებრძოლთა რიგებს...
ის ღელავს...
იმედებით აღსავსე, ქარის ფრთებზე აქანავებს წითელ



დიდება შენ ბზის მოედანო... დიდო მიწავ..

დროშას, ბრძოლის დროშას ..
მაგრამ...
წინ უფსკრული. .
დაირუხრუხეს ზარბაზნებმა. .
ტყვიამფრქვეველები ხევენ სივრცეს. .
მტრის შავი ურდო ეკვეთა* თავისუფლებისათ მებრძოლთ. .
კვლავ მუსრს ავლებენ.
ხოცვენ, ჟლეტვენ უმოწყალოდ...
ღვრება სისხლი...
უმოწყალოდ..
უშედეგოდ..
არბევენ ისედაც გაპარტახებულ სოფლებს...
გარბიან მეთაურები. .

შორიდან მოსჩანს ცეცხლში გახვეული სოფლები...
ისინი კი გარბიან...
გარბიან უგზო-უკვლოდ მებრძოლთა წყებები...
მიეშურებიან სადღაც შორს...
ეძებენ თავშესაფარს ..
ღამის სიჩუმეში ცერებით,
ფეხაკრეფით გადადიან გზებზე..
მთის ფერდობზე ვიწრო ბილიკებს მისდევენ...
აგერ ველიც...
მდინარე...
ჭაობები...
ისლით დაფარული ჭაობები...
მიდიან ხუთნი...
იქ, შორს, რაღაც საშინელი...
სდგას უძრავად...
ქარი ისევ ჰქრის...
ქარი ისევ არხევს ხის ტოტებს, რომელზედაც ჰკიდია ჩამომხრჩვალი გვამები ..
სისხეს ქარი. .
შემოდგომის ცივი ქარი...
არხევს ტოტებს...
აქანავებს ჩამოხრჩობილ გვამებს..

—

მ ზ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს კ ე ნ.

დარჩა მხოლოდ ერთი გზა...
გზა შორი... ხიფათით სავსე...
დევნილებს მიერეკებოდა სიკვდილის აჩრდილი მზის მოედნისაკენ...
მზის ქვეყნისაკენ...
სადაც თავისუფლების მოკიაფე მზე პირს უკოცნის შრომის ოფლით მკერდ გამურულ მუშებს...
ეს არის საბჭოების დიდი მიწა, სადაც ზეიმი აქვს თავისუფალ შრომას...
აქ უჩვეულო დღესასწაულებს იხდიან უთვალავი მონები...
გუშინდელი მონები, რომლებიც სიყვარულით შეერთებულნი აშენებენ საერთო შრომით ახალ ქვეყანას...
ნანატრ ქვეყანას...
შრომის ქარვასლას...

—

ღამით ქურდებივით მოიპარებოდენ დევნილები...
შორით გამოჩნდა საბჭოთა მიწის საზღვრები...
განთიადის შუქით შევარაყებული მთების მწვერვალები...
ველები. .
მინდვრები...
ტყეები ..
კლდეები...
ხეობები, სადაც მძლავრად ისმოდა შრომის გუგუნი...
კიდევ რამდენიმე მანძილი...
კიდევ რამდენიმე შიშის მწარე წუთები...

დევნილები გადმოიპარენ წითელ ხაზზე...
აქ უკვე თავისუფალი ჰაერი ჰქრის...
აქ ლაღობს...
ხარობს შრომის შვილი...
დიდება შენ მზის მოედანო...
დიდო მიწავ...
საბჭოთა მიწავ...
მოვდივართ შენსკენ...
დამცირებულნი და დევნილნი...
ვკოცნით შენს ნოყიერ ნიადაგს, რომ სისხლისაგან
დაცლილ კუნთებში კვლავ ჩაგვიდგეს მჩქეფარე სი-
სხლი...
დიდება შენ, თავისუფალო ქვეყანავ..
დაილრიალეს ალფრთოვანებით დევნილთა ბაგეებმა...
—ეს იყო საბჭოთა მიწის ნიადაგი..
საბჭოთა საქართველოს ნოყიერი მიწა.
ეს იყო თავისუფალი შრომის წითელი საქართველო,
რომელსაც ეწოდება **მზის მოედანი...**
თავისუფლებისა და სიყვარულის ქვეყანა..

პ. ოდ—ლი.

ქაპიტალის ტყვეებს

თქვენს ბრძოლას
და სწრაფვას უსაზღვროს.
ქუჩებში დანთხეულს
სისხლის ღვართქაფებს—
გაიხდის თაობა
უმწიკლო ემბლემად,
და რწმენის სიმბოლოდ.
ბრძოლების ლოზუნგად.
წამოვა თქვენს გზებზე
მრავალი კრებული
ვის სულშიც მარადის
ღვივოდა ფარული
ქვეყნების საჯეკნად
ამდგარი ხანძარი.
ვის სულშიც კიოდა
ჩავრულთა ტრფიალი.
დე იყოს გარემო
მუნჯი და უენო.
ოქვენ გედგას კარებზე
ხიშტები ფოლადის.
არ ესმას თქვენი ხმა
სისხლიან მტარვალებს:
ეს მკდრული სიჩუმე
გასჭედავს მახვილებს
დაანგრევს შავ კედლებს
ამართულს კლდეებათ.
წარსდგება ჯალათი
სამსჯავროს წინაშე
მას დასწვავს გენია.
ქვეყნების დაცემის
ქვეყნების დანგრევის.
თქვენს მკერდებს
დალარულს ტანჯვებით
ოფლით და განცდებით.
დაკოცნის ნანატრი
მზის სხივი მხურვალე,
და სივრცეს დაფარავს
დროშების ფრიალი;
უშიშრად ზეცისკენ
კუნთებით ამართულს
ვერ დახრის ვერასდროს
ქარების ხმაური.

პ. ოდიშელი.

ბულგარეთის ბმირებს

შემოხეული სისხლიან პერანგს,
ბარიკადებზე დროშათ აფრენდით.
წითელ არხებათ-სდგას ბულგარეთი
ათ ათასობით ტყვიით დაფლითეს.
მიწა სისხლშია ცანკოვი ცურავს -
დალუპულების თან დასდევს ლანდი,
საფლავებიდან სჭექავენ პროტესტს.
ციხე... ტყვე-გული, როგორც ფოლადი.
მზე გამრუდული და ალმაცერა—
შემოანათებს რკინის ბადურებს,
ვერ გადაგტეხავსთ კედლების ჟანგი,
ჯერ გაუძელით ძმებო სართულებს;
მოვა დრო, როცა დღე პირდაპირი,
ყუმბარასავით იფეთქებს მდაც—
სისხლისფერ დროშას კომუნარები
ბულგარეთიდან გადიტანს სხვაგან.

ჟ. დ—ძე.



რემედას-ის ყრილობა გერმანიაში

ყოფილ პალატის შესავალ კარებთან ეკიდა დიდი პლაკატი შემდეგი წარწერით: აქ სხდომა აქვს წითელ დახმარების ყრილობას, ე. ი. გერმანიის რემედას ს.

ყრილობაზე მონაწილეობა მიიღო 250 დე დეგატმა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და წარმოებებიდან.—ისინი იყვნენ 307.781 რემედას-ის წევრთა წარმომადგენელი. საერთო რიცხვიდან 129 დელეგატი ეკუთვნოდა პარტიულ ორგანიზაციებს, 92—უპარტიოებს, 15—სოც.-დემოკრატებს, დანარჩენები კი დამოუკიდებელი სოციალისტების, ანუ რადიკალურ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

თუმცა სოც.-დემოკ. მონაწილენი ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც ყურადღებას აქცევდენ იმდენად, რამდენათ ისინი ემუქრებოდენ თავიანთი პარტიის წევრებს პარტიიდან გამორიცხვას, თუ მონაწილეობას მიიღებდენ რემედეას-ის მუშაობაში.

რეფერატორთა შორის, სხვათა შორის, ირიცხებოდა—ლიტერატორ **ბიუხერის** მოხსენებელი თეთრი ტერორის მოქმედებაზე, პაციფისტ—პროფესორი **გუმბელი,** საბჭოთა ბავარიის მონაწილე, ყოფილი ცნობილი ანარქისტი **მიუზამი** და სხვ

რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატებმა თავის საქმიან მოხსენებაში გააშუქეს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან თეთრ ტერორთან და მის მსხვერპლთან. ის ამბობდა, მათთვის დახმარების გაწევა უდრის ამნისტიისათვის ბრძოლას კლასობრივი შეტაკებების გართულებისა და გამწვავების დროსო.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რემედას ის მუშაობას, მის ნაყოფიერ შედეგებს ხელს უშლის არა მარტო ბურჟუაზია და თეთრი ტერორი, არამედ სოც.-დემოკრატია და ხელისუფლებაც. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები და ხელისუფლება ორივე იქნა მოწვეული, მათ უარი განაცხადეს ყრილობაზე მონაწილეობის მიღებაზე. რომ დასწრებოდენ ყრილობას, მათ ექნებოდათ საშუალება დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ რემედას-ი არ მალავს თავის მოღვაწეობას, რომ ეს ორგანიზაცია იმდენი ყურადღების ღირსი მაინც არის, რამდენიც კათოლიკეთა და სოც.-დემოკრ. ფილანტროპიული ორგანიზაციები, რომლებიც მუნიციპალიტეტიდან იღებენ 400 მილიონ მარკას. ხელისუფლებისაგან, შემოწირულებათა შეგროვების აკრძალვის გამო, რემედას ი იძულებული შეიქნა გადასულიყო ინდივიდუალურ წევრობაზე და სისრულეში მოეყვანა ყოველგვარი მოთხოვნილებები ფილანტროპიული ორგანიზაციის. ხელისუფლებამ და მუნიციპალიტეტებმა უარი განაცხადეს ყრილობაზე თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნაზე, მაგრამ ისინი ეხლა მიიღებენ ყრილობის ოქმებს და, ამრიგად, იძულებულნი იქნებიან იკითხონ ის, რისი მოსმენაც ველარ მოისურვეს.

გამმა.

ბულგარეთი

ბულგარეთი ისევ სისხლის მორევში იმყოფება. გრძელდება მუშებისა და გლეხების დევნა წამება. სამი კვირის განმავლობაში მთელს მხარეში ადგილი ქონდა 30 პოლიტიკურ მკვლელობას. ბურჟუაზიამ შური იძია 30 საუკეთესო რევოლიუციონერზე.

ზოგი მათგანი დაქირავებულ ჯალათების საშუალებით ამოჟლიტეს, ზოგი კი სახელმწიფოს „კანონების“ ძალით დახვრიტეს.

ხელისუფლება, თავისი ბატონობის გასამაგრებლად და განსამტკიცებლად არ ერიდება არავითარ ზომებს. მას ყავს თეთრი ტერორის ძლიერი ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ მუშათა მასსებში უვიცობისა და სიბნელის განვითარებას.

მთელს მხარეში პროფესორმა **ცანკოვმა** მოსპო წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. დახურულია მრავალი საშუალო და უმაღლესი სკოლები. სამსახურიდან დაითხოვეს 2,500 მდე საბალხო მასწავლებელი. სისხლიანი ცანკოვის მთავრობის მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით რამოდენიმე წლის განმავლობაში მთელს ბულგარეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 8—10 პროც. ცანკოვის ბარბაროსული

პროფესორ ცანკოვის ჯალათების მსხვერპლნი.

ამხ. მინკოვი

ამხ. ფრიდმანი

ამხ. იანკოვი

მთავრობის ასეთი გეგმა ნათელია და ყველასათვის გასაგები. ბურჟუაზიამ კარგად იცის, რაც მეტი უვიცია და გაუნათლებელი მუშათა კლასი, მით უფრო ადვილი დასამორჩილებელია ის. ცანკოვის მთავრობამ იცის, რომ ბნელი მასსა ადვილად ეგუება მონობის მძიმე პირობებს და იმდენად ხელისუფლებისათვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. გაუნათლებელი მასსა უსიტყვოდ და მორჩილებით იტანს ყოველგვარ დამცირებას, ამიტომაც არის სისხლის მსმელი ცანკოვი, რომ ხელს უწყობს ბულგარეთის მშრომელთა სიბნელეში ყოფნას.

მიუხედავად მემამულეთა მთავრობის აღვირახსნილობისა, მუშებისა და ულარიბესი გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. ბულგარეთის მშრომელთა კლასი კვლავ შეუდრეკელის ძალით აწარმოებს შეტევას ცანკოვის სისხლიანი მთავრობის წინააღმდეგ.

პაულ.

ა მ ე რ ი კ ა

(მნახველის ნაამბობი)

ეს ამბავი მოხდა 1 მაისს, ჩრდილოეთ ამერიკის, ნიუ იორკის შტატში.

როცა ოსსინინგის საპყრობილის (ნიუ-იორკში) საათმა შუალამისას, თორმეტჯერ ჩამოჰკრა სწორედ ამ დროს ციხის უფროსმა ლაუესმა ჟურნალისტების პატარა ჯგუფს გაუღო კარი ერთ ოთახში და შეიყვანა შიგ. ოთახის კედლები თეთრად იყო გალესილი და მის ავეჯეულობას შეადგენდა მხოლოდ შუაში დადგმული უცნაური აპარატი, რომელიც ძალიან წააგავდა სავარძელს.

ციხის უფროსი მიუბრუნდა ჟურნალისტებს და ეუბნება დადინჯებულის ხმით:

— ბატონებო! თქვენ აქ მობრძანდით, რომ დაესწროთ ძმებ დიამონდების და ჯონ ფარინას სიკვდილით დასჯას.

„გთხოვთ დაიცვათ სიწყნარე და თამბაქოსაც ნუ მოსწევთ!

„დარაჯებო! შემოიყვანეთ პირველი დამნაშავე!“

შემოდის უფროსი ძმა—მორის დიამონდი.

მას აცვია შავი სამოსი, რომელსაც აძლევენ ციხეში სასიკვდილოთ განწირულებს. ის ჩასვეს „სავარძელში“ და შიაკრეს კარგა მაგარი თასმებით. თავზე დაახურეს მუზარადის მსგავსი რამ მარცხენა ხელზე აუწიეს ფინჯაკის მაჯა, მარჯვენა ფეხზე—შარვალის ტოტი, შემდეგ მოუჭირეს ორი ელექტრონი: ერთი მაჯაზე და მეორე--ფეხზე. ამგვარად ელექტრონი დაუვლიდა მთელ ტანს.

რადგან დამნაშავემ ლაპარაკის სურვილი განაცხადა, ციხის უფროსმაც ნება დართო.

მორისმაც ილაპარაკა.

მან სთქვა, რომ იგი გმირულად იბრძოდა უკანასკნელ ომში და ღირსი იყო პატიებისა. ამასთანავე აცხადებს, რომ იმისი ძმა ჟოზეფი სრულიად უდანაშაულოა.

უფროსის ნიშანზე—ერთმა ლმობიერი სახის მოხუცმა, რომელიც იყო ციხის ელექტრო ტეხნიკოსი და ამავე დროს ჯალათიც, აათამაშა კომუტატორი.

ორი ათას ვოლტმა უეცრივ გაიელვა ტანში. მჯდომარე კაცი მწარედ დაიკლაკნა და ელდა-ნაკრავივით გაშეშდა, უცებ მოკვდა.

როცა ერთი კარიდან მიასვენებდენ უსულო გვამს ერთი ძმისას, ამავე დროს მეორე კარიდან შემოჰყავთ მეორე ძმა—ჟოზეფ მონდი.

მან ლაპარაკი არ ამოისურვა. განმეორდა ყველაფერი, როგორც პირველად.

შემდეგ რიგი მიდგა ჯონ ფარინაზე გასაოცრად დინჯი და სახემოლიმარი. ის ესალმება დამსწრე პირებს, ერთ ხელში მას ეჭირა ანთებული პაპიროსი.

როცა თავზე დაახურეს „მუზარადი“ და ელექტროიდებიც თავის ადგილას იყვენ, მან ერთხელ კიდევ გააბოლა პაპიროსი, და სრულიად დამშვიდებული ხმით მიმართა დამსწრეთ.

— მშვიდობით ბატონებო და ელექტრონმაც გაუელვა.

ე ს პ ა ნ ე თ ი.

ესპანეთის ბრძანებელი, ბატონი **პრიმო-დე, რივერა,** მსგავსად იტალიის ფაშისტების ბელადის **მუსოლინისა,** ხშირად მართავს დღეობებს, ჯარების უჩვეულო დემონსტრაციებს და ათასგვარ თეატრალურ სანახაობებს.

დღეობების მოწყობით დიქტატორი ამაგრებს თავის ავტორიტეტს ხალხის თვალში. მას სურს უჩვენოს მასსას, რომ მის მიერ შექმნილი ხელისუფლება ემყარება ჯარების ძლიერებას, პოლიციას, ფაშისტებსა და მათ თანამგრძნობთ.

სამი კვირის წინათ მოწყობილ იქნა უდიდესი დემონსტრაცია, რომელიც დიდად განსხვავდებოდა დღესასწაულებიდან.

დიქტატორის ბრძანებით, პროვინციალური ქალაქებიდან გამოწვეული იქნენ განსაკუთრებული დელეგატები. მეფის ოჯახისათვის მოეწყო განსაკუთრებული ტახტი, რომელიც დაამშვენეს სურათებით უზარმაზარ მოედანზე, სადაც ამართული იყო მრავალი სცენა დღის 2 საათიდან განთიადამდე ცეკვავდენ საუკეთესო მოცეკვავენი. სცენიდან მოისმოდა, მეფის თეატრის მსახიობების სიმღერა. მუსიკა გადადიოდა ქალაქის ერთი მხარედან მეორეზე, უკრავდენ მეფისა და **პრიმო-დე-რივერას** სადიდებელ ჰიმნს.

— დღისით მეფე და დიქტატორი ღებულობდენ აღლუმს. ზარბაზნების გრიალი ანგრევდა არე მარეს. დაფრინავდენ უამრავი ჰაეროპლანები.

ჯარს ფეხდაფეხ მიყვებოდა ფაშისტური ორგანიზაცია. ყვიროდენ დამსწრეთა გასაგონად:

— მოვკვდებით მეფის დიდების და ძლიერებისათვის.

საღამოს კი, როდესაც საზეიმოთ მორთული ქალაქის ბურჟუაზია მხიარულობდა, როდესაც ზეიმობდენ მეფისა და დიქტატორის ერთგული მსახურნი, მწუხარებას და ტანჯვას განიცდიდენ მშრომელნი. მუშათა კლასი ოცნებობდა თავის მომავალ ბედზე, თავისუფლებაზე. ის სტიროდა თავის უმწეო მდგომარეობაზე. რამოდენიმე ათასი რევოლიუციონერი პატიმარი იტანჯებოდა ციხეებში...

„ყოვლად შემძლე“ დიქტატორი დემონსტრაციებით უმტკიცებდა დელეგატებს თავის ძლევამოსილებას...

ასეთ „უებარ“ საშუალებებს მიმართავენ ესპანეთის მყვლეფელები.

ვალლაც.



ასე აწამებს ბურჟუაზია რევოლიუციისათვის მებრძოლ გმირებს...

პოლონეთი

პოლონეთის ციხეებში მოთავსებულია 6,000-ზე მეტი რევოლიუციონერი. ხელისუფლება პოლიტიკურ პატიმრებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს თანაბრად ეპყრობა.

— პოლონეთში არ არიან პოლიტიკური დამნაშავეები! აქ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეებიაო,—განაცხადა სასამართლოს პროკურორმა.

შვიდი კვირის განმავლობაში პოლონეთის სხვადასხვა ციხეებში პატიმრებმა 35-ჯერ გამოაცხადეს შიმშილობა. შიმშილობის გამოცხადებისათვის საშინლად სცემეს პატიმრებს.

პოლონეთის ციხეებში პატიმრებს აწამებენ ელექტრონის ჩქერებით. პატიმრებს ხელის თითებში უწყობენ ხის ნაჭრებს, შემდეგ უჭერენ, სანამ ძვლები სულ არ გადაემტვრევათ.

ასეთ საშინელ ზომებს მიმართავს მემამულეთა ხელისუფლება მუშათა და გლეხთა აჯანყებების საბოლოოდ ჩასაქრობად.

კომუნისტური ჟურნალ-გაზეთები სასტიკ დევნას განიცდის. რევოლიუციონური პრესა ჭერქვეშაა მოქცეული. მას არა აქვს საშუალება დღის სინათლეზე გამოიტანოს ხელისუფლების საზიზღარი მოქმედებანი. სასამართლომ ერთ ერთ ამხანაგს დახვრეტა გადაუწყვიტა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის რედაქტორობდა ფარულ გაზეთს. მეორე გაზეთის რედაქტორს კი 10 წელი კატორღა მიუსაჯეს.

ხელისუფლებამ შეიპყრო ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც ვარშავიდან ლვოვში გადაჰქონდა ფარული ფურცლები, წიგნები და სხ. სასამართლომ „დანაშაული“-სათვის მას დახვრეტა გადაუწყვიტა, მაგრამ „დამნაშავე“ მცირე წლოვანი აღმოჩნდა. დახვრეტა 10 წ. ციხეთ შეუცვალეს.

არბევენ ყველგან პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატია მხურვალე მონაწილეობას იღებს თეთრი ტერორის „მოღვაწეობა“-ში. პოლონეთის მენშევიკები გვერდში უდგანან სისხლიან ბურჟუაზიას მუშათა კლასის დამარცხების საქმეში. პოლონეთის სოციალ-დემოკრატია არა თუ ეწინააღმდეგება თეთრი ტერორისა და ფაშისტების თარეშს მშრომელ ბულგარეთში, არამედ მთელი თავისი ძალ-ღონით ხელს უწყობს და ეხმარება მათ კომუნისტების საწინააღმდეგო ბრძოლაში. ეწერებიან ფაშისტების „ოხრანკებში“, სდევნიან და ანადგურებენ კომუნისტურ ორგანიზაციებს.

ბოლო ხანებში მუშათა და გლეხთა ფართე მასებს დაეტყო გამოფხიზლება. პატიმარ რევოლიუციონერების განთავისუფლების ლოზუნგის ქვეშ კომპარტიამ დარაზმა მშრომელ ხალხი. კომპარტიამ შემოიკრიბა თავის გარშემო მუშათა ცოცხალი ძალები. კომუნისტ დეპუტატის ამხ. ლანცუცკის დაპატიმრების დროს ვარშავაში მოეწყო დიდი მუშათა დემონსტრაცია.

—

კუნძული იავა

(რემედას-ის ალმასკომის კორესპონდენტის წერილი)

ჩვენ დაპატიმრებული ვართ ბანდიტებთან, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და ყველა ჯურის საეჭვო პირებთან. ხელისუფლება ჩვენს შორის „ვერ ხედავს“ ერავითარ განსხვავებას.

პატარა, ვიწრო სარკმლიან საკანში ყრია პატიმრები. მთელი დღის განმავლობაში საკანში აუტანელი სიცხეა, ღამით კი მოსვენებას არ გვაძლევენ ვირთხები და მკბენარები. იმათ, ვისაც შეუძლია აიტანოს ციხის ასეთი პირობები, ზის ჩუმად, უსიტყვოდ, მათი დღიური საქმელია ერთი მუჭა ბრინჯი და წყალი. პროტესტებს არა აქვს გასავალი. ვინც კი გაბედავს ხმის ამოღებას სცემენ, აწამებენ. ასე უმასპინძლდებიან ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები მუშათა კლასისათვის თავდადებულ მებრძოლ რევოლიუციონერებს.

კომუნისტები მეტად ცუდ პირობებში იმყოფებიან. არ უჩანს ბოლო მათ მხეცურ წამებას. ხელისუფლება ფიქრობს ასეთი მკაცრი ზომებით მიაღწიოს მიზანს, შეკრიბოს ახალი „დამატებითი“ ცნობები, რომ უფრო მაგრად მოუჭიროს მუხრუჭი მუშებს.

ყოვლად უვარგისია და მიუღებელი ციხის საჭმელი. პატიმრები, განსაკუთრებით პოლიტიკურები, დრო გამოშვებით აცხადებენ **შიმშილობას**, რომელსაც აღფრთოვ ნებით უერთდებიან სისხლის სამართლის დამნაშავეებიც მიუხედავად იმ სასტიკი ზომებისა, რომელსაც მიმართავს ციხის ადმინისტრაცია პოლიტიკურ პატიმრების მიმართ, ვერ შესძლო კომუნისტების გავლენის მოსპობა, როგორც არა კომუნისტ პატიმრებზე, ისე მუშათა ფართე მასსებზე.

პატიმრებს დღე და ღამე ამუშაკებენ. თუ ვინმე ჩამორჩა მუშაობას, მას მათრახის ცემით მიერეკებიან.

ჰოლანდიელი მოხელეები მუშებს უყურებენ როგორც დაბალ ხარისხის ადამიანებს.

როდესაც არ არის „საკმაო საბუთები“ „დამნაშავის“ დასაპატიმრებლად, გენერალ გუბერნატორი რევოლიუციონერებს აცხადებს საშიშარ ადამიანებათ.

აპატიმრებენ მათ და აგზავნიან შორეულ კუნძულებზე. გადასახლებულთა ცოლშვილი რჩებიან ულუკმაპუროდ, ყოველგვარ დახმარებასა და თანაგრძნობას მოკლებულნი. გადასახლებულთ ნება ეძლევათ იშუამდგომლონ საზღვარგარეთ გადაგზავნაზე, რაც უფრო მეტ საშინელებას წარმოადგენს მათთვის. გადასახლებულები უცხო ქვეყნებში ველარ პოულობენ თავშესაფარს. გადახვეწილ პოლიტიკურებს არ უშვებენ მეზობელ ქვეყნებში. ევროპაში და ჩინეთში კი მათ უარესი დღე მოელით. ასე სტანჯავენ ჰოლანდიის წურბელები კუნძულ იავას მუშათა კლასის მეთაურებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის.

გარრი.

—

ახალი გვინეია.

შორს, ავსტრალიის ახლოს, ოკეანეში „დასცურავს“ **ახალი გვინეია**. 10 წლის წინეთ გერმანიის მძიმე უღლის მაგივრად აქ დამკვიდრდა ე. წ. „ქრისტეს სამართლიანობა“. აფრიალდა „შეწყნარებისა“ და „კაცთმოყვარეობის დროშა“. ეს მოხდა 1914 წ. ამრიგად ახალი გვინეია შევიდა დემოკრატიის „სამოთხეში“. ის მოექცა ევროპის „განათლებულ“ სახელმწიფოს ახალი უღლის ქვეშ.

ახალი გვინეიას ტერიტორია ერთა ლიგამ გადასცა ავსტრალიას. ერთა ლიგის დადგენილებით მონების ყვლეფა, მოვებით ვაჭრობა აკრძალული იყო.

სამწუხაროდ დადგენილება ცხოვრებაში არ გატარდა. ადგილობრივ მკვიდრთ უცხოელები ამუშავებენ ჯოჯოხეთურ პირობებში. მუშები მეტად უმნიშვნელო თანხას იღებენ გასამრჯელოდ. ხდება შრომის, ყოვლად დ უშვებელი და შეუწყნარებელი ექსპლოატაცია. კაპიტალისტები თავიანთი გავლენას ავრცელებენ ბავშვებზედაც. ბურჟუა-მკვლეფელები ბავშვებს უშვებენ ტბებში, და ზღვაში, საიდანაც ამოაქვთ ძვირფასი ქვები. თუ ვინმემ აღიმაღლა ხმა ასეთი უკანონო საქციელის საწინამღდეგოდ, მას აპატიმრებენ და აგდებენ ციხეში; დანარჩენებს კი მუქარით ამუშავებენ. ამრიგად, ახალ გვინეიაში მუშათა მდგომარეობა, მათი ცხოვრების პირობები ყოვლად აუტანელი და ჯოჯოხეთურია. აღარ უჩანს ბოლო მშრომელთა წამებას.

რემედას-ი საქართველოში

რემედას-ის საქართველოს ცეკას პლენუმი

(3—5 მაისი, 1925 წ.)

პლენუმი გაიხსნა პროფკავშირების წითელ დარბაზში.

ადგილებიდან დაესწრო 28 დელეგატი. წარმოდგენილი იყო 15 ორგანიზაცია. პლენუმის გახსნას დაესწრო აგრედვე რემედას-ის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **ზგურდეუსი.**

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) რემედას-ის ცეკას ანგარიში; 2) მოხსენებები ადგილებიდან; 3) რემედას-ის მორიგი ამოცანები; 4) ცეკას პრეზიდიუმის გადარჩევა; 5) საკავშირო ყრილობაზე დელეგატების არჩევა და 6) მიმდინარე საკითხები.

სხდომის გახსნისას პლენუმმა მოისმინა ამხ. **გ. მუშიშვილის** ინფორმაციული განცხადება ბულგარეთში მომხდარ ამბების შესახებ.

პლენუმმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია.

რემედას-ის საქ. ცეკას 6 თვის მუშაობის შესახებ დასაბუთებული და საქმიანი მოხსენება გააკეთა პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. მუშიშვილმა. მან გაჰყო თავისი ანგარიში სამ ნაწილად: ორგანიზაციულ, სააგიტ-საპროპაგანდო და საფინანსო.

რემედას-ის საქართველოს I კონფერენციის შემდეგ პირველი 3 თვე ცეკამ განსაკუთრებით საორგანიზაციო მუშაობას მოანდომა. გამოჰყო თავის წრიდან მომქმედი ბიურო სამი წევრისაგან: პ.-მგ. მდივანი და ერთი წევრი. შექმნა ტეხნიკური აპარატი. ამჟამად ცეკას აპარატში ოთხი ფასიანი თანამშრომელია: ტეხნიკური მდივანი, მოანგარიშე, მემანქანე-რეგისტრატორი და ერთი ინსტრუქტორი. ჩამოაყალიბა ყველა ოლქებში და მაზრებში საოლქო და სამაზრო კომიტეები და მისცა მათ თითო ტეხნიკური მომუშავე. დღეს რემედას-ის საქ. ცეკას აქვს 24 სამაზრო და საოლქო კომიტეტი. 55 რაიონი, 735 უჯრედი 64,419 წევრით. ორგანიზაციები შედარებით ჩამოყალიბებულია და მათი მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. ინსტრუქტორის საშუალებით დათვალიერებულ იქნა 13 სამაზრო ორგანიზაცია და გამორკვეულია მუშაობის სუსტი მხარეები. დათვალიერების დროს ერთერთ საოლქო ორგანიზაციაში (სოხუმის) აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედება რემედას ის ფულების გაფლანგვის სახით. ამის წინააღმდეგ ცეკამ მიიღო საჭირო ზომები.

იმ მიზნით, რომ რემედას-თან კავშირი დაეჭირა ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, ცეკამ თავიდანვე პრეზიდიუმში ადგილი მისცა მათ წარმომადგენლებს: კომკავშირს, ქალთა განყოფილების პროფკავშირს და სხვ. მიუხედავად ამისა ნამდვილი ცოცხალი კავშირი ახალგაზრდობასთან და ქალებთან რემედას-ს მაინც არ ჰქონდა. რემედას-ის მუშაობაში მათი მასიური და აქტიურად ჩაბმა დღემდე ვერ მოხერხდა. ცეკა განაგრძობს საჭირო ზომების მიღებას ამ მიზნის მისაღწევად.

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ დახმარებას უწევდა რემედას-ს თავის მუშაობაში და მოითხოვდა ამასვე სამაზრო პარტკომებიდან. ავალებდა პარტკომებს საერთო ანგარიშში აღენიშნათ ცნობები ადგილებზე რემედას-ის მუშაობის შესახებ და მოუწოდებდა მათ რემედას ის მუშაობისთვის აქტიურ ხელმძღვანელობის გაწევისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, ადგილების დათვალიერების შემდეგ გამოირკვა, რომ ზოგიერთი სამაზრო პარტიული კომიტეტი ვერ ასრულებდა სათანადოთ პარტიის ცეკას დირექტივებს ამ საკითხში. ეს მოვლენა მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

სააგიტ-საპროპაგანდო დარგში ცეკას მუშაობა არ იყო ისეთი ცოცხალი და ნაყოფიერი, ვინაიდან მისი მთავარი ყურადღება მიქცეული იყო რემედასის ორგანიზაციების ჩამოყალიბება-განმტკიცებისაკენ. ცეკამ ამ ხნის განმავლობაში ჩაატარა ეტთი კვირეული იანვრის პირველ რიცხვებში. კვირეულს არ მოუტანია მოსალოდნელი შედეგები, ვინაიდან მას ხელი შეუშალა სუსხიანმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა. ამის გამო ზოგიერთმა მაზრებმა კვირეულის ჩატარება დღემდე ვერ მოახერხეს.

შედარებით ნაყოფიერად იქნა ჩატარებული რემედას ის საერთაშორისო დღე—18 მარტი. ეს დღე პარტიის დახმარებით ჩატარდა რემედას-ის ლოზუნგების ქვეშ. პირველი მაისის ჩატარებაც მოხდა პარტიასთან ერთად შეერთებულად.

საანგარიშო პერიოდში ორჯერ გამოვიდა ჟურნალი „რემედას"-ი, დაიბეჭდა სამი ბროშიურა, ბიულეტენის ორი ნომერი რუსულ-ქართულ ენაზე, სხვადასხვა მოწოდებები და ლოზუნგები.

ცეკას გამომცემლობა ამ ხანებში ვერ იყო მოგვარებული სასურველად. არ გამოდიოდა ჟურნალი „რემედას"-ი სისტემატიურად. არ გვქონდა პოპულიარული ბროშურები. ის კი, რის გამოცემასაც ცეკა ახერხებდა, ჯდემოდა ძვირი და რემედას-ის წევრებს მათი შეძენა არ შეიძლოთ. უკანასკნელ ხანებში ცეკამ მიიღო სათანადო ზომები და შეადგინა გეგმა ჟურნალი „რემედას"-ის სარეორგანიზაციოდ და პოპულიარულ, მასიურ და იაფ ფასიანი ბროშურების მისაწოდებლად რემედას-ის წევრებისათვის. განზრახულია გამოიცეს ლიტერატურა სომხურ და თათრულ ენებზედაც, ან შეიძინოს საჭირო ლიტე-

რატურა მეზობელ რესპუბლიკების ორგანიზაციებისაგან.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ფინანსიურ ანგარიშს. მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ცეკას საერთო შემოსავალი უდრიდა 17,490 მან. 20 კაპ. ამ თანხიდან 217 მ. დაიხარჯა ცეკას აპარატზე და სხვა საორგანიზაციო საჭიროებებზე, 8,000 მან. კი გამომცემლობაზე, რომელშიდაც შედის: ჟურნალი, ბროშურები, საწევრო წიგნაკები, ჟეტონები და სხ. ვინაიდან საწევრო გადასახადები და შემოწირულებანი ძლიერ ცოტა თანხას იძლევიან, რაც ოთქმის საორგანიზაციო ხარჯებს უნდება, ამიტომ რემედას, ის ცეკამ გადასწყვიტა მექმნას საექსპლოატაციო დარგი, გამოსძებნოს სხვა მატერიალური საშვალებით. ამ მიზნით აღებულ იქნა იჯარით ბაღი „არტო"-რომელიც სეზონის ბოლოს მოგვცემს დაახლოებით 50 ათას მანეთს.

საერთოდ, მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

ამხ. მუშიშვილის შემდეგ ამხ. ზგურდეული პლენუმს აწვდის ზოგიერთ ცნობებს რემედას-ის მდგომარეობის შესახებ საბერძნეთში. რემედას-ის

რემედას-ის საქართველოს ცეკას 1-ლი პლენუმი.

სექცია საბერძნეთში დაარსდა 1925 წ. იანვარში. მასში ირიცხება ამჟამად 4,000 წევრი. ჯერ-ჯეროობით მუშაობა სწარმოებს ლეგალურად. რემედას-ი ცდილობს ჩაითრიოს თავის რიგებში გლეხობა და შექმნას წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში თავისადმი ლოიალური განწყობილება. პირველად რემედას-ის ამოცანები შეცდომით იქნა გაგებული საბერძნეთში. მას ფილანტროპიული (კაცთმოყვარეობის) საზ-ს ხასიათ აძლევდენ. რემედას-ის აღმასკომის შემდეგ კი გაიგეს მისი ნამდვილი ამოცანა, როგორც პროლეტარული სოლიდარობის მატარებელი ორგანიზაციის. დღეს საბერძნეთში ტყვე-რევოლიუციონერებისა და გადასახლებულთა რიცხვი უდრის დაახლოებით 2,000. თეთრი ტეროორი საშინლად მძვინვარებს. დასასრულ ამხ. ზგურდეული სთხოვს საქართველოს ორგანიზაციას მიიღოს შეფობა საბერძნეთის ციხეებზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

ყველა ოლქებში და მაზრებში ორგანიზაციები უკვე ჩამოყალიბებულია. არსებობს სარაიონო კომიტეტებიც. ყველა მათ გარკვეული სახე აქვთ. ოქტომბრის კონფერენციამდე წევრთა ჩაწერა ხდებოდა სტიქიურად, მხოლოდ მას შემდეგ კი დაიწყო მათი სწორი და სრული რეგისტრაცია.

სწარმოებს ნაყოფიერი მუშაობა. უჯრედებში თვეში ერთხელ იმართება კრებები. მხოლოდ ეს მუშაობა არ არის გეგმიანი. პარტკომი და პარტიული ამხანაგები დახმარებას უწევენ რემედას-ის მუშაობას. თითქმის ყველგან პარტკომის წევრები თავ-

მჯდომარეობენ რემედას ის სამაზრო კომიტეტებს. მთავარი მუშაობა ადგილებზე სწარმოებს სამაზრო ცენტრებში. პერიფერიებში კი ზოგან არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ამის მიზეზია რაიონების დაშორება ცენტრიდან და რემედას ის მუშაკთა დატვირთვა თავისი პირდაპირი მოვალეობებით, ნაწილობრივად უგზოობა და დიდი ხარჯების მოთხოვნილებაც გვიშლის ხელს. ამავე მიზეზის ბრალია, რომ საერთოდ რემედას ის რიგებში ცოტაა გლეხობა და სოფლის ინტელიგენცია. ზოგიერთ მაზრებში, სადაც რემედას-ის სამაზრო კომიტეტის მუშაკებს მოუხერხებიათ სოფლად გასვლა, ემჩნევა გლეხებას დიდი ლტოლვა და თანაგრძნობა რემედასისადმი. შემოდის მათგან შემოწირულება ნატურით. არის ისეთი ადგილები (ვორში), სადაც სოფლის გლეხობა სწირავს რემედას-ს ძირეულ ხეხილს და ვაზებს მათი ყოველწლიური ნაყოფით. არის ცდები დამუშავებულ იქნეს რემედას-ის სასარგებლოდ მიწის ნაჭრები. სუსტად არის ჩაბმული რემედას-ის რიგებში ახალგაზრდობა, გარდა ერთ-ორი მაზრის გამოკლებისა. ქალთა რიცხვი სულ უმნიშვნელოა ჩვენ ორგანიზაციებში. სრულებით არ სწარმოებს სპეციალური მუშაობა ქალთა შორის. დაიწყო ნელნელა „რემედას-ის მეგობართა" კოლექტივების დაარსება. ამისათვის ზოგან გამართულ იქნა თათბირი სკოლის მასწავლებლებთან ერთად და გამომუშავებული გეგმა მუშაობისა.

საწევრო გადასახადები ბევრგან წევრებს შემოაქვთ წესიერად. მის შემოსვლას ბოლო ხანებში ხელი შეუშალა შექმნილმა გაუგებრობამ. რემედას-ს ქონდა თავის განაკვეთები საწევრო გადასახადისა პროფკავშირთა საბჭომ კი გამოიტანა დადგენილება არ გადაგვეხდევინებინა რემედას-ის წევრებისათვის უმეტეს 25 კაპიკისა წლიურად. ამ გარემოებამ დროებითი აიძულა სამაზრო კომიტეტები შეეჩერებია საწევრო გადასახადების მოკრეფა, მანამ უკანასკნელად გამოირკვეოდა თუ რამდენი უნდა შემოეტანათ რემედას-ის წევრებს საწევრო გადასახადი.

გარდა ამისა ადგილები აღნიშნავდენ, რომ აგიტაცია პროპაგანდის საწარმოებლად მათ არ მოეპოებოდათ საჭირო მასალა. არ ქონდათ სათანადო პოპულიარული ლიტერატურა. ჟურნალი „რემედას"-ი ერთობ დიდი და უფერული იყო. იგი გაუგებარი იყო რემედას-ის მასისათვის. ამასთან ერთად მეტად ძვირი და წევრები მას ვერ ყიდულობდენ. მაზრები ყველა ერთხმად მოითხოვს ჟურნალის ფორმატის შემცირებას, პოპულიარულ და იაფ-ფასიან ლიტერატურის გამოცემას რემედას-ის იდეების გასაშუქებლად ფართო მასებში. მოითხოვენ აგრედვე ლიტერატურას ეროვნულ უმცირესობათა ენებზედაც. მაზრის დელეგატებმა ხაზი გაუსვეს აგრედვე იმ გარემოებას, რომ მათ ხშირად საჭირო მასალები კამპანიების ჩასატარებლად მისდიოდათ ძალიან დაგვიანებით, რაც ძლიერ აფერხებდა ამ კამპანიების ჩატარებას.

საერთოდ მუშაობა ადგილებზე ძალიან გაცხოველდა შედარებით 1924 წელთან. რემედას-ის მუშაკები სერიოზულად და ენერგიულად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. მშრომელი მასა დიდი თანაგრძნობით ეკიდება ჩვენს ორგანიზაციას და მეტი ხალისით იკრიბებიან მის გარშემო, ვიდრე სხვა საზოგადო ორგანიზაციებში.

ცეკას ანგარიშისა და ადგილებიდან მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოვილებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა წარმომადგენლებმა. ამხანაგები აღნიშნავდნენ ცეკას მუშაობას როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ამხ. მომხსენებელმა ყველას გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

შემდეგ პლენუმი გადავიდა რემედას-ის მორიგ ამოცანებზე. აქ მან შეიმუშავა მთელი რიგი იმ ზომებისა, რომლის გატარება უახლოეს მომავალში აუცილებელ საჭიროდ სცნო.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები (მოგვყავს ქვევით).

რემედას-ის საკავშირო ყრილობაზე დელეგატებათ პლენუმმა აირჩია ამხ. კვირიკაძე და ზაქსი, კანდიდატად ამხ. ჯიჯაძე.

დასასრულ მოხდა ცეკას პრეზიდიუმის ხელახალი გადარჩევა, რაც გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომ პრეზიდიუმის წევრები, ზოგი სულ გავიდა თბილისიდან და ზოგმა ვერ იშოვა თავისუფალი დრო სამუშაოდ.

პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა დარჩა შემდეგი: ჩოდრიშვილი (თავმჯდომარე), მუშიშვილი (პ. მგ. მდნვანი), რუხაძე, ჯიჯაძე, ჭელიძე (პროფკავშირი), ზაქსი, ბაგდატიევა და კეკელია (ახ. კომკავშირი), კანდიდატებად: ბელიაევი და ჯაიანი.

სარევიზიო კომისიაში შეყვანილ იქნა დამატებით ამხ. მარგანიძე.

რეზოლიუციები

1.

მოისმინა რა ამხ. მუშიშვილის მოხსენება ბულგარეთში მომხდარ ამბების, ცანკოვისა და მის კომპანიის გამხეცებულ ფაშისტურ.ბურჟუაზიულ ბანდების მიერ მუშებისა და გლეხების შეუწყვეტელ დევნა წვალების, მასიურ ხვრეტა-დაპატიმრების, უმწეო მშრომელ მოსახლეობის დარბევა-აწიოკების შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა სოფიის ტაძარში აფეთქებას, რემედას-ის საქართველოს ცეკას პლენუმი სასტიკ პროტესტს აცხადებს ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ხმა აღიმაღლოს ბულგარეთის ჯალათების წინააღმდეგ და მოსთხოვოს

ათასობით დატყვევებულ მშრომელთა განთავისუფლება-

ძირს სისხლის მსმელი ფაშისტები!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას.

გაუმარჯოს **რემედას-ს.**

2.

მოისმინა რა რემედას-ის ცეკას ანგარიში და მოხსენებები ადგილებიდან, რემედას-ის საქართველოს ცეკას პლენუმი ცეკასა და ადგილებზე მუშაობას სთვლის **დამაკმაყოფილებლად.** მომავალში პლენუმს მიაჩნია საჭიროდ:

1. განმტკიცებული იქნეს რემედას-ის არსებული საქალაქო ორგანიზაციები (მუშების, მოსამსახურეთა და სხ.); გაფართოვებულ და განმტკიცებულ იქნეს რემედას ის უჯრედების ქსელი სოფლად.

2. გაგრძელდეს მომავალშიდაც საოლქო და სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელობა ინსტრუქტორის საშვალებით.

3. ჩატარებულ იქნეს ახლო მომავალში რემედას ის სამაზრო კონფერენციები.

4. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება „რემედას-ის მეგობართა“ კოლექტივების ორგანიზაციას.

5 გაძლიერებულ და განმტკიცებულ იქნეს კავშირი კომკავშირთან. მიღებულ იქნეს საჭირო ზომები კომკავშირისა და ქალთა ორგანიზაციების ჩასაბმელად რემედას-ში.

6. აღებულ იქნეს შეფობა ბურჟუაზიულ ციხეებზე რემედას-ის ცეკას მიერ.

7. მიღებულ და გატარებულ იქნეს ცხოვრებაში ახალი მთლიანი ცხრილი საწევრო გადასახადებისა.

8. სასურველად იქნეს ცნობილი ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ საშემოსავლო წარმოებათა გახსნა.

9. შეწყვეტილ იქნეს ფასიანი ფურცლების გაყიდვა.

10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კავშირის გაძლიერებას პარტორგანიზაციებთან.

11. მოწყობილ იქნეს მომავალში დემონსტრაციები და მიტინგები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

12. გაფართოებულ იქნეს რემედის-ის კუთხეების ქსელი.

13. უმთავრესი ყურადღება მიექცეს ცეკას გამომცემლობას. გაიაფებულ იქნეს ჟურნალი „რემედას“-ი. გამოცემულ იქნეს იაფ-ფასიანი პოპულიარული ლიტერატურა ნაციონალურ უმცირესობათა ენაზე. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს საგიტაციო ბროშურების გამოცემა.

14. მიექცეს სათანადო ყურადღება თეზისების, მოწოდებების, ლოზუნგების თავის დროზე გამოცემას და ადგილებისათვის დაგზავნას.

ქუთაისის მაზრა

რემედასის საქართველოს პირველ კონფერენციამდე ქუთაისის სამაზრო კომიტეტი მოქმედებდა რწმუნებულების საშუალებით. კონფერენციის შემდეგ ქალაქში და ყველა რაიონებში ჩამოყალიბდა რემედას ის უჯრედები, რომლებსაც ხელმძღვანელობს სამაზრო კომიტეტი.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ არცერთი მუშა-მოსამსახურე არ არის დარჩენილი რემედას-ის რიგებს გარეშე. სამაზრო კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს წითელ ჯართან. კონფერენციამდე ქუთაისის მაზრაში ირიცხებოდა 4.439 წევრი, დღეს კი ირიცხება 5.589 წევრი, სამტრედიის რაიონის გამოკლებით. სოციალური შემადგენლობა: წ. არმიელები—1571, მოწაფეები—190, მიწის მუშა—35,

მოსამსახურეები—3793. რაიონებთან არსებობს მეტად მჭიდრო კავშირი. ეგზავნებათ რემედას ის ყოველგვარი ლიტერატურა და სხვ. ხოლო მუშაობას აფერხებს რემედას ის უჯრედების მონზადებული ხელმძღვანელების არა საკმარისი რაოდენობა. წევრთა შორის გაცხოველებულია აღმზრდელობითი მუშაობა.

ამას წინეთ ნაჩვენები იქნა კინო სურათი „**წითელი ზურგი**". ჩატარებულ იქმნა რემედასის კვირეული 1-ლიდან 7 იანვრამდე. კვირეულში ნაჩვენები იქნა კინო სურათები, გაიმართა წარმოდგენები და უჯრედების გაერთიანებულ სხდომებზე გაკეთდა მოხსენებები. კვირეულის წმინდა შემოსავალი უდრის 1036 მ. 67 კაპ. ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და რემედასის მიზნების გავრცელების მიზნით სწარმოებს ჟურნალ „**რემედას**"-ზე ნებაყოფლობითი ხელის მოწერა.

1924 წ. ოქტომბრიდან მთელი შემოსავალი როგორიცაა საწევრო, შემოწირულებანი, ლიტერატურისა და ფასიანი ფურცლების გასაღებით შემოსულა 4.981 მ. 94 კაპ. გადაიგზავნა რემედას-ის საქ. ცეკაში 4.588 მ. 55 კ. დარჩა ადგილობრივ სალაროში 393 მ. 39 კაპ.

ჩაქუჩი.

—

სამხრეთ-ოსეთი

რემედას-ის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაცია წარმოიშვა 1924 წელს, მაგრამ ფაქტიურად მუშაობა არ დაწყებულა ა/წ. 1925 წ. იანვრამდის.

საოლქო კომიტეტს არ გააჩნდა საშუალება საორგანიზაციო ხარჯებისათვის. მიუხედავად ამისა მან შესძლო მოწყობა რამოდენიმე ორგანიზაციისა. საოლქო კომიტეტის მუშაობამ მიიღო სისტემატიური ხასიათი.

საოლქო კომიტეტმა ჩაატარა რემედას-ის კვირეული, იანვრის მაგივრად 18 მარტს პარიზის კომუნის წლის თავთან დაკავშირებით.

მოეწყო საპროტესტო მიტინგები ამხ. **ლან ცუცკის** დაპატიმრების გამო.

გაიმართა წარმოდგენა-საღამოები, შეგროვილ იქნა ნებაყოფლობითი შემოწირულებანი—რომლის წმინდა შემოსავალი გადაიგზავნა რემედას-ის საქართველოს ცეკაში. ამ ჟამად სამხრეთ-ოსეთში ითვლება 23 უჯრედი 336 წევრებით. აქედან კომპარტიის წევრები—30, კომკავშირის—91 და უპარტიო—207. მამაკაცი—296, დედაკაცი—40, შემოსულია საწევრო გადასახადიდან 27 მან. 70 კაპ. შემოწირულებიდან 128 მ. 85 კაპ. ჟეტონებიდან 65 მან. 50 კაპ. 13 მ. 15 კაპ. კინოდან 47 მ. 20 კაპ.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ყველაზე მეტი შემოსულა შემოწირულებიდან, რომელიც იძლევა მტკიცე და შეურყეველ საბუთს იმასა, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელი მასსა თავისი რევოლიუციონურის შეგნებით ძლიერ ახლოს სდგას მსოფლიო მტაცებელთა წინააღმდეგ მებრძოლ პროლეტარიატის საარსებო ინტერესებთან. სამხრეთ-ოსეთის მშრომელი გლეხობა არ ზოგავს თავის მცირედ წვლილს, რათა დაეხმაროს რევოლიუციისათვის მებრძოლთ.

დ—ევი.

—

აფხაზეთი

საოლქო კომიტეტს ყავს ერთი ტეხნიკური მომუშავე. ოლქის მაშსტაბში ირიცხმა 62 უჯრედი—3,000 წევრით. აფხაზეთის საოლქო კომიტეტი აერთიანებს ოთხ მაზრას: გუდაუთის, კოდორის, სამურზაყანოს და გაგრის. მაზრებში მუშაობა მიმდინარეობს რწმუნებულების საშუალებით. კვირეული ჩატარებულ იქმნა 18 მარტს—პარიზის კომუნის დღესთან შეფარდებით. მოეწყო მიტინგები, ქალაქებში კი უჯრედების გაერთიანებული სხდომები, სადაც გამოვიდენ მოხსენებით რემედას ის ხელმძღვანელები. მოეწყო აგრეთვე საღამო-წარმოდგენები, სეირნობა, რამაც შემოიტანა წმინდა შემოსავალი ქ. სოხუმში 1,500 მან.

შ—აია.



ქრონიკა

რემედას-ის ცეკას გამოცემები.

◁ გამოვიდა გასასყიდად პიესა „**პროლეტარი ქალი**“ და „**რემედას**“.

◁ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ს. რუდნიანსკის წიგნი: **საუბარი მატერიალისტურ ფილოსოფიაზე.**

შემოვიდა 1 მარტიდან 27 მაისამდე რემედას-ის საქ. ცეკას სალაროში.

1.	თბილისის კომიტეტიდან	5510 მ. 50 კ.
2.	ოზურგეთის „	200 „ — „
3.	სენაკის „	612 „ — „
4.	ქუთაისის „	2673 „ 50 კ.
5.	აჭარისტანის „	3974 „ 57 „
6.	გორის „	950 „ — „
7.	ახალქალაქის „	38 „ 95 კ.
8.	ხაშურის „	120 „ — „
9.	ზუგდიდის „	258 მ. 31 კ.
10.	სამხრ. ოსეთის „	231 „ 75 „
11.	სამტრედიის „	1000 მ. — „
12.	დუშეთის „	20 მ. — „
13.	ფოთის „	221 „ 66 კ.
14.	აფხაზეთის კომიტეტიდან	950 „ — კ.
15.	1-ლ დივიზიის „	225 მ. — „
16.	რაჭის „	163 მ. 43 კ.
17.	ბორჩალოს „	8 „ 05 „
18.	ბორჯომის „	100 „ 39 „
19.	თელავის „	312 „ 39 „
20.	მე 2 დივიზიის „	107 „ 65 „
	ჯამი	**17.708 მ. 01 კ.**

რედაქტორი: გ. მუშვიშვილი.

გამომცემელი:

რემედას-ის საქ. ცენტრალური კომიტეტი.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქ. № 4.
შეკვ. № 1853 ✻ ტირაჟი 3000 ც. ✻ მთავლ. 794.

დაბეჯითებით ვსთხოვთ რემედას-ის სამაზრო, საარაონო და თემის კომიტეტებს, აგრეთვე ყველა უჯრედებს იყოლიონ კორესპონდენტები, რომლებიც მოგვაწვდიან წერილებს ადგილობრივ ცხოვრებიდან. კორესპონდენტები მიიღებენ შესაფერ ჰონორარს.

„რემედას"-ის რედაქცია.

იგეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

გ. ზინოვიევი

თეთრი ტერორი

და

რემედას-ის ამოცანები.

მიიღება ხელისმოწერა რემედას-ის საქ. ცენტრალურ კომიტეტის ყოველთვიურ ჟურნალ

„რემედას"-ზე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრ ტეროს, რემედას-ის მუშაობას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. ფართო ადგილი ეთმობა ტყვე რევოლიუციონერების მდგომარეობას და ილიუსტრაციებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ცხოვრებიდან.

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით 20 კ., ორი თვით 35 კ., სამი თვით 50 კ., ექვსი თვით 1 მ. ერთი წლით 2 მან.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 22. რემედას-ის საქ. ც. კომიტეტი. ტელ. 4—87.

ფასი 20 კაპ.



Биб.-Читальня Рабочих Стрел. сод. Сосед. Респ. Грузии